



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### 1837 დეკემბერში თ. ბ.

პეტერბურგის საიმპერატორო მეცნ. აკად. საპატიო წევრად, ხოლო 1844 – კოპენჰაგენის ანტიკვართა სამეფო საზ-ბის საპატიო წევრად აირჩიეს. დაკრძალულია ნევის მონასტრის ბაგრატიონთა სასაფლაოზე. *თხზ.*: განმარტება პოემა "ვეფხისტყაოსნისა", გ. იმედაშვილის გამოც., თბ., 1960; ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი გიორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველოცა, სპბ., 1848; მოგზაურობა ჩემი ევროპისა და სხვათა და სხვათა ადგილთა, ს. იორდანიშვილის რედ., თბ., 1944; სამსახეობა რაინდისა, თბ., 1947 (უავტ.). *ლიტ.*: ბარამიძე არჩ., თეიმურაზ ბაგრატიონი და პირველყოფილი თემური წყობილების საკითხები ქართველ ტომებში, «საქართველ. მეცნ. აკადემიის მოამბე», 1961, ტ. 26, №5; ბერძნიშვილი მ. დ., მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, II, თბ., 1983; იმედაშვილი გ., თეიმურაზ ბაგრატიონის რუსთველოლოგიური ცდანი, «ლიტერატურული ძიებანი», 1949, [ტ.] 5; მესხია შ., თეიმურაზ ბატონიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, «მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის», 1939, ნაკვ. 1; შარაძე გ., თეიმურაზ ბაგრატიონი, ტ. 1-2, თბ., 1972-74. გ. შარაძე.

---